მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „საქნახშირი“-ს ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიშის განხილვის თაობაზე

18 ნოემბერი, 2024

სკრინინგის ანგარიშის განხილვის პროცედურა

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

2024 წლის 7 ნოემბერს აპრილს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნდა ქ. ტყიბულში შპს „საქნახშირის“ ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს (ფაბრიკის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ სკრინინგის განცხადება.

არ გამოქვეყნებულა განცხადება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და იმ შესაძლებლობებზე რომელსაც დაინტერესებულ პირს ანიჭებს კანონმდებლობა ამ გადაწყევტილების მიღების პროცესში.

ბმულზე განთავსებული არ არის რაიმე მიმანიშნებელიც კი იმის თაობაზე, რომ მოცემული პროცედურის ფარგლებში სააგენტო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში; არ არის მითითებული გადაწყევტილების მიმღები ორგანო; ასევე არ არის მითითებული, რომ საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში სააგენტოს წერილობით (ქაღალდზე ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით; არ არის მითითებული ფიზიკური და ელექტრონული ფოსტის მისამართი სადაც დაინტერესებულმა პირმა შესაძლოა გააგზავნოს შენიშვნები და კომენტარები; ასევე არ არის, მითითებული რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს სკოპინგის განცხადების ნაბეჭდი ეგზემპლარის ხელმისაწვდომობას.

მხოლოდ პორტალის თავფურცელზე განთავსებული ცხრილიდან (რომლიც სრულად არ ჩანს ეკრანზე) პორტალის მუშაობის პრინციპის მცოდნე პირისათვის შესაძლოა ცნობილი გახდეს, რომ „საზოგადოების მხრიდან შენიშვნების წარმოდგენის ვადაა 18.11.2024. „დეტალური ინფორმაციის“ გრაფაში ღილაკის დაჭერის შემდეგ, ესეც აღარ ჩანს. წინამდებარე დოკუმენტს ელფოსტაზე ვაგზავნით მხოლოდ ჩვენი ცოდნის საფუძველზე; ამგვარი

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

გამოცდილების არმქონე პირისათვის რაიმე სახის მითითება პორტალზე არ არის გამოქვეყნებული.

როგორც არაერთხელ უკვე მივუთითეთ სააგენტოს, ასეთი წესით გამოქვეყნებული სკრინინგის ანგარიშის განხილვის პროცესი არ შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს არც ამ და არც სხვა შემთხვევებში.

სკრინინგის ანგარიშის საგანი

პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სკრინინგის საგანია ქ. ტყიბულში შპს „საქნახშირი"-ს ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს (ფაბრიკის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება.

თუმცა, გამოქვეყნებული ანგარიშიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ საქმიანობა არათუ დაგეგმილია, არამედ უკვე განხორციელებულია. თავი 3. „ექსპლუატაციის პირობების ცვლილების აღწერა" - აღნიშნულია:

„როგორც პირველ პარაგრაფშია მოცემული, ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ გარკვეული ცვლილებები იქნა თავდაპირველ პროექტში, კერძოდ:

- გაუქმდა ნედლეულის (ნედლი ნახშირის) მისაღები სარკინიგზო ესტაკადა და ნედლეულის ტრანსპორტირება ხდება თვითმცლელი ავტომანქანებით;
- გამამდიდრებელ ფაბრიკაში დამონტაჟდა პრესფილტრი, რომლის პარალელურად ძირითადი კორპუსის მიმდებარედ ავარიულად დაღვრილი ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით მოეწყო 120 და 400 მ3 ტევადობის ორი სალექარი;
- საწარმოში პრესფილტრის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, საწარმოს ექსპლუატაციის ნორმალური რეჟიმის პირობებში საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს და არსებული 10 000 მ3 (ამჟამად 5 000 მ3) მოცულობის სალექარი გამოიყენება მხოლოდ ავარიულ სიტუაციების (პრესფილტრის ავარიული გაჩერების შემთხვევაში) დროს ფაბრიკის სრულად გაჩერებამდე პერიოდში. შესაბამისად სალექარის ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემისათვის გამოყენება საჭიროებას არ წარმოადგენს;
- ფაბრიკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და ავტომანქანების საბურავების ნარეცხი წყლების მართვის მიზნით დაგეგმილია ორი სალექარის და ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობა".

ზემოთმოყვანილი ამონარიდის თანახმად, ამჟამად დაგეგმილი მხოლოდ სანიაღვრე წყლების და ავტომანქანების საბურავების ნარეცხი წყლების მართვისათვის საჭირო სალექარების და ნავთობდამჭერი დანადგარის მოწყობაა; დანარჩენი უკვე განხორცილებულია. ასევე სხვა თავებში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ცვლილების მთავარი არსი არის 2015 წელს (?!) პრესფილტრის დამონტაჟება.

საგულისხმოა, რომ ყველაფერთან ერთად სკრინინგის ანგარიშის ავტორი არათუ არ გამორიცხავს, არამედ თავად უთითებს ავარიულ სიტუაციებში საწარმოო წყლების მდინარეში ჩაშვების გარდაუვალობაზე, თუმცა იქვე უთითებს, რომ „ზემოქმედება მოიცავს მცირე პერიოდს"; თითქოს ეს რაიმე სახის შეღავათია და პრობლემას არ წარმოადგენს.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ სკრინინგის დასკვნა არ უნდა გაიცეს.

პირველ რიგში გარემოს ეროვნული სააგენტო და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ვალდებულნი არიან კანონის მოთხოვნების სრული დაცვით უზრუნველყონ სკრინინგის პროცედურის დაწყებისა და მასში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, გასაგებად უნდა ჩამოყალიბდეს სკრინინგის საგანი, ანუ, რაში მდგომარეობს დაგეგმილი საქმიანობა და შემდეგ ნათლად ჩამოყალიბდეს ამ საქმიანობის (ცვლილებების) შესაძლო ზემოქმედება.